თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-77-164771-26
03 / 07 / 2026

მოქალაქე ირაკლი მაგრაქველიძის
წარმომადგენელს ნიკოლოზ სულხანიშვილს

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 22 ივნისის №02-77-164771-26 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, რევაზ ჯაფარიძის №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.15.02.055.020) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს მიწისზედა D=50 მმ-იანი და მიწისქვეშა დაბალი წნევის მკვებავი გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენს მიერ წარმოდგენილი და შპს „თბილისი ენერჯი“-ს მიერ შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად ;


აქვე გაცნობებთ, რომ ნაკვეთზე არსებული მკვებავი გაზსადენების დემონტაჟი/დროებით გაუქმება შესაძლებელია დაინტერესებული პირის (აბონენტის) განცხადებით მომართვისა და შესასრულებელი სამუშაოების თანხის ანაზღაურების შემთხვევაში.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მისამართი: ქალაქი თბილისი, კუჩა ზემო ვაკე, N 11 ს/კ 01.15.02.055.020 | პროექტის სახელწოდება: ინდივიდუალური არამბინიანი საცხოვრებელი სახლი | ავტორები: | მასშტაბი: 1:100 | თარიღი: აგვისტო | ნახაზის დასახელება: გენ გეგმა | № A.01.5 |